



## საქართველოს საგადასახადო და საკანონმდებლო სიახლეები იხელმძღვანელებთ კანონმდებლობით

### ახალი კანონი „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“

2016 წლის 8 ივნისს ძალაში შევიდა “ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ კანონი, რომლის ამოქმედებისთანავეც ძალადაკარგულად გამოცხადდა „ბუღალტრული აღრიცხვისა და ფინანსური ანგარიშგების აუდიტის შესახებ“ მანამდე მოქმედი კანონი. ახალი კანონის მიზანია ბუღალტრული აღრიცხვის, ფინანსური ანგარიშგებისა და აუდიტის მარეგულირებელი სისტემის მიახლოება ევროკავშირის დირექტივის მოთხოვნებთან, რაც ხელს შეუწყობს ეკონომიკის ზრდას და საინვესტიციო გარემოს განვითარებას.

### ივლისი 2016

#### [ახალი კანონი](#)

[„ბუღალტრული აღრიცხვის,  
ანგარიშგებისა და აუდიტის  
შესახებ“](#)

[ცვლილებები „მეწარმეთა  
შესახებ“ საქართველოს  
კანონში](#)

[ცვლილებები „საქართველოს  
საგადასახადო კოდექსში“](#)

[ცვლილებები საქართველოს  
სამოქალაქო საპროცესო  
კოდექსში](#)

[მნიშვნელოვანი სასამართლო  
გადაწყვეტილება](#)

ახლად ამოქმედებული კანონის მიხედვით, ფინანსთა სამინისტროს მიენიჭება უფლებამოსილება დაადგინოს სტანდარტები. ეს შეეხება ბუღალტრული აღრიცხვის, ფინანსური და მმართველობითი ანგარიშგების, აუდიტორული საქმიანობის ზედამხედველობის წარმოებისა და ინფორმაციის გამჭვირვალობის კონტროლს. სამინისტრო, ასევე, განსაზღვრავს პროფესიული ორგანიზაციების მიერ სამართალდარღვევათა გამოვლენისა და დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრების წესს.

ახალი კანონის მიღებამ განაპირობა ცვლილებების შეტანის საჭიროება სხვადასხვა კანონში, კერძოდ:

- „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონი
- საქართველოს საგადასახადო კოდექსი
- „უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ“ საქართველოს კანონი

### **ცვლილებები „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონში**

ცვლილებები „მეწარმეთა შესახებ“ კანონში, რომლებიც განაპირობა ახალი კანონის ამოქმედებამ, შეეხება ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის განხორციელების ძირითად ნორმებს. შეიცვალა პირთა წრე, რომლებიც ექვემდებარებიან სავალდებულო აუდიტს. დაემატა ნორმა, რომელიც მმართველობის ორგანოს და სამეთვალყურეო საბჭოს წევრების მიმართ ადგენს პასუხისმგებლობას ანგარიშგების მომზადებასა და წარდგენაზე.

### **ცვლილებები „საქართველოს საგადასახადო კოდექსში“**

„ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ ახალი კანონიდან გამომდინარე საგადასახადო კოდექსის 202-ე მუხლში განხორციელდა ტექნიკური ხასიათის ცვლილება.

საქართველოს პარლამენტმა საგადასახადო კოდექსის სხვა მნიშვნელოვანი ცვლილებები დამტკიცა. ცვლილებების მიზანს წარმოადგენს მოქმედი საგადასახადო კანონმდებლობით მობილური საკომუნიკაციო მომსახურების სფეროსთვის აქციზის სახით არსებული საგადასახადო ტვირთის ეტაპობრივი შემცირება.

ცვლილებების შესაბამისად, მობილური საკომუნიკაციო მომსახურებისათვის დაწესებული აქციზის არსებული 8%-იანი განაკვეთი შენარჩუნდება 2017 წლის 1 იანვრამდე, ხოლო 2017 წლის 1 იანვრიდან 2018 წლის 1 იანვრამდე განაკვეთი შემცირდება 3 პროცენტამდე.

2018 წლის პირველი იანვრიდან მობილური საკომუნიკაციო მომსახურების გაწევა აქციზით აღარ დაიბეგრება.

## ცვლილებები საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსში

საქართველოს პარლამენტმა დაამტკიცა ცვლილებები სამოქალაქო საპროცესო კოდექსში, რომლებიც შეეხება უზრუნველყოფის ღონისძიებების გამოყენებას.

ცვლილებების თანახმად, კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში, მოსარჩელის განცხადებით, სასარჩელო მოთხოვნის აღსრულების უზრუნველსაყოფად სასამართლოს შეუძლია გამოიყენოს როგორც დროებითი შეზღუდვის, ისე დავის დასრულებამდე სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებები.

სასამართლო სარჩელის უზრუნველყოფას გამოიყენებს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მოსარჩელე დაუდასტურებს სასამართლოს, რომ:

ა) ძირითადი სარჩელი, რომლის უზრუნველყოფაც ხდება, გონივრულად დასაბუთებულია და არსებობს სარჩელის დაკმაყოფილების დასაბუთებული ალბათობა;

ბ) სასამართლოს მიერ სარჩელის უზრუნველყოფაზე უარის თქმის შემთხვევაში, მოსარჩელე ვერ შეძლებს გადაწყვეტილების აღსრულებას, ან მიადგება ისეთი ზიანი, რომელიც ვერ იქნება კომპენსირებული ზიანის ანაზღაურებით სარჩელის დაკმაყოფილების შემთხვევაშიც კი.

თუ მოსარჩელის მოთხოვნა აკმაყოფილებს ამ კრიტერიუმებს, მაგრამ ის სავარაუდო ზიანი, რომელიც შესაძლოა მიადგეს მოსარჩელეს სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოუყენებლობით, არ აღემატება ზიანს, რომელიც შესაძლოა მიადგეს მოპასუხის კანონიერ ინტერესებს, საქმის საბოლოო გადაწყვეტამდე, სასამართლო მოსთხოვს მოსარჩელეს უზრუნველყოფის გარანტიის წარმოდგენას.

## მნიშვნელოვანი სასამართლო გადაწყვეტილება

2015 წლის 18 დეკემბერს საქართველოს უზენაესმა სასამართლომ მნიშვნელოვანი განმარტება გააკეთა ქირავნობის და იჯარის ხელშეკრულებების განსხვავებულ სამართლებრივ ბუნებასთან დაკავშირებით (ას-738-700-2015).

საკასაციო სასამართლომ განმარტა, რომ ქირავნობის დროს კონკრეტული, ინდივიდუალურად განსაზღვრული, მოუხმარებადი ნივთი გადაეცემა დამქირავებელს სარგებლობაში, ხოლო იჯარის შემთხვევაში გადაეცემა ქონება, რომელიც არა მარტო ნივთებს, არამედ არამატერიალურ ქონებრივ სიკეთესაც აერთიანებს, ანუ იმ მოთხოვნებსა და უფლებებს, რომლებიც მოიჯარეს მისცემს შესაძლებლობას, მიიღოს ნაყოფი (მატერიალური სარგებელი). იჯარის შემთხვევაში ნაყოფია ის შემოსავლები, რაც მეურნეობის სწორი გაძღოლის გზით მიიღება სამართლებრივი ურთიერთობის საფუძველზე.

სასამართლომ ასევე აღნიშნა, რომ ხელშეკრულების არსი უნდა განიმარტოს არა სახელწოდების, არამედ მისი შინაარსის მიხედვით, რომელიც შესაბამისობაში უნდა იყოს ხელშეკრულების საკანონმდებლო კონსტრუქციასთან. მოცემულ შემთხვევაში, მიუხედავად იმისა, რომ მხარეებს შორის გაფორმებული ხელშეკრულების სახელწოდება იყო „იჯარის ხელშეკრულება“, სასამართლომ აღნიშნა, რომ თავისი შინაარსით ის წარმოადგენდა

ქირავნობის ხელშეკრულებას, რის გამოც მისგან წარმოშობილი სამართლებრივი ურთიერთობები უნდა დარეგულირებულიყო ქირავნობის და არა იჯარის მუხლებით.

ამავე გადაწყვეტილებაში სასამართლომ განმარტა, რომ დავის სამართლებრივი შეფასებისას სასამართლო არ არის შებოჭილი მხარეთა მოსაზრებებით. მხარეთა შორის არსებულ სამართლებრივ ურთიერთობის შინაარსს სასამართლო დამოუკიდებლად განსაზღვრავს, მიუხედავად მხარეთა განსხვავებული მოსაზრებისა. ამიტომაცაა, რომ მოსარჩელე არ არის ვალდებული, მიუთითოს მოთხოვნის სამართლებრივი საფუძველი და არც მოპასუხე ვალდებული შესაგებელში, ზუსტი სამართლებრივი შეფასებები შეიტანოს. თავის მხრივ, არც სასამართლოა ვალდებული, გადაწყვეტილება დაასაბუთოს მხარეთა მიერ მითითებული სამართლებრივი საფუძველებით.

შეკითხვების არსებობის შემთხვევაში, გთხოვთ მიმართოთ დელოიტის საქართველოს ოფისის შესაბამის თანამშრომლებს:

**გიორგი თავართქილაძე**

საგადასახადო და იურიდიული  
დეპარტამენტის დირექტორი  
[gtavartkiladze@deloitte.ge](mailto:gtavartkiladze@deloitte.ge)

**გიორგი ხუროძე**

იურიდიული სამსახურის უფროსი  
[gkhurodze@deloitte.ge](mailto:gkhurodze@deloitte.ge)



**deloitte.ge**

დელოიტი გულისხმობს ერთ ან რამოდენიმე დელოიტ ტუშ ტომაცუ ლიმიტედის კომპანიას, რომელიც წარმოადგენს გარანტიით უზრუნველყოფილ ბრიტანულ კერძო კომპანიას (DTTL), მისი წევრი კომპანიების ქსელს და მასთან დაკავშირებულ ორგანიზაციებს. DTTL და მისი ყოველი წევრი წარმოადგენს იურიდიულად დამოუკიდებელ ცალკე პირს. DTTL (რომელიც ასევე მოიხსენიება როგორც გლობალური ქსელი „დელოიტი“) კლიენტებს არ უზრუნველყოფს სერვისის მიწოდებით. DTTL-ისა და მისი წევრი კომპანიების დეტალური აღწერისთვის გთხოვთ იხილოთ [www.deloitte.com/about](http://www.deloitte.com/about).

დელოიტი ახორციელებს აუდიტორულ, საკონსულტაციო, ფინანსური რჩევების, რისკების მართვის, საგადასახადო და მასთან დაკავშირებული მომსახურებების მიწოდებას, სხვადასხვა სფეროში მოღვაწე როგორც სახელმწიფო, ასევე კერძო კომპანიებისთვის. დელოიტი - კომპანიების გლობალური ქსელი, ჟურნალ „Fortune“-ს მიერ გამოქვეყნებული მსოფლიოს 500 უმსხვილესი კომპანიიდან დაახლოებით 400-ს ემსახურება 150-ზე მეტ ქვეყანაში მოღვაწე წევრი კომპანიების მეშვეობით. დელოიტი კლიენტებს უზრუნველყოფს მსოფლიო მასშტაბის შესაძლებლობებითა და უმაღლესი ხარისხის მომსახურებით, ურთულესი ბიზნეს-ამოცანების გადასაჭრელად. დელოიტში დასაქმებული 225 000-ზე მეტი პროფესიონალი გამსჭვალულია მიზნის მიღწევის იდეით. მეტი ინფორმაციის მისაღებად ეწვიეთ ჩვენს გვერდებს სოციალურ ქსელებში Facebook, LinkedIn, Twitter.

ეს შეტყობინება მოიცავს მხოლოდ ზოგად ინფორმაციას და შესაბამისად არცერთი, დელოიტ ტუშ ტომაცუ ლიმიტედი (DTTL), მისი წევრი კომპანიები და დაკავშირებული ორგანიზაციები (ერთობლივად წოდებულნი როგორც „დელოიტის ქსელი“) ამ შეტყობინების საფუძველზე არ იღებს პასუხისმგებლობას საკონსულტაციო ან პროფესიული მომსახურების მიწოდებაზე. რაიმე გადაწყვეტილების მიღებამდე ან ქმედების განხორციელებამდე, რომელიც გავლენას იქონიებს თქვენს ფინანსებსა და ბიზნესზე, უმჯობესია კონსულტაცია გაიაროთ კვალიფიციურ კონსულტანტთან. „დელოიტი“-ს ქსელის არცერთი წევრი კომპანია არ არის პასუხისმგებელი ნებისმიერი პირის რაიმე სახის დანაკარგზე, რომელიც ეყრდნობა ამ შეტყობინებას.

ლ. ასათიანის ქ. 36ა  
თბილისი, 0105 საქართველო

@ 2016 შპს დელოიტი და ტუში. ყველა უფლება დაცულია.